ჩავალაგოთ ჩანთა სკოლისთვის

ვინ ურევდა სკოლის ჩანთებს?

გმირებთან ერთად ვსწავლობთ:

- წესრიგის დაცვა
- აიღე პასუხისმგებლობა
- ერთმანეთის მხარდაჭერა

ერთ ჯადოსნურ სახლში მხიარული და მოსიყვარულე ოჯახი ცხოვრობდა - დედა, მამა და სამი შვილი. და რადგან ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, დილაობით თავ-თავიანთ „სამსახურებში“ მიდიოდნენ. ლიზის სამსახურს „საბავშვო ბაღი“ ერქვა, ვაჩეს და სანდროს სამსახურებს - „სკოლა“, მშობლების სამსახურს კი, უბრალოდ, „სამსახური“.

სახლს არც საიდუმლო გვირაბი ჰქონდა, არც ქათმის ფეხებზე იდგა და ღამღამობით არც აჩრდილები დადიოდნენ დერეფნებში, მაგრამ ამ სახლში უცნაური არსება იმალებოდა - პატარა, უკუღმა მოსიარულე, უწესრიგო ეცამრაზი. ამ პატარა არსებას შეეძლო ყველაფერი აებურდა, აერია-დაერია, მოეთხუპნა, დაეხია, დაეკუჭა, მიეყარა-მოეყარა.

ვერავინ უმკლავდებოდა მის ნამოქმედარს, მაგრამ უძლეველი სულაც არ იყო! მხოლოდ მანამდე ჰქონდა ძალა, სანამდე ვინმე მის ნადვილ სახელს წარმოსთქვამდა ხმამაღლა!

ეცამრაზი განა მხოლოდ საგნებს და ნივთებს ურევდა? ცდილობდა, ბავშვებს ყველაფრის გაკეთება დაზარებოდათ, მოუწესრიგებლებს ევლოთ და სულ ებუზღუნათ : „ეს მე არ ამირ-დამირევია, ეს მე არ დამიხევია, ეს მე არ დამიკუჭიაო“!

თავად ეცამრაზს კი ძალიან ახარებდა არეული სახლის, კარადების თუ სათამაშოების ყურება. განსაკუთრებით სკოლის ზურგჩანთებს ემტერებოდა. ბავშვებს კარგად ჩალაგებულ ჩანთებს წუთში აურევ-დაურევდა, რვეულებს და წიგნებს მოთხვრიდა, ფურცლებს დაუკუჭავდა, ფლომასტერებს, საშლელსა და და ფანქრებს მიმოაპნევდა და გახარებულიც ამღერდებოდა:

„ნუ მახსენებთ ყველა ბრაზით,
ვარ კეთილი ეცამრაზი!
ვემტერები წესრიგს, გარჯას,
მიყვარს აბურდული ჩანთა!“

ეცამრაზის გადამკიდე მხოლოდ ბავშვები კი არა, ნივთები და საგნებიც იმას აკეთებდნენ, რაც წესით, არ უნდა ეკეთებინათ; იქ აღმოჩნდებოდნენ, სადაც მათი ადგილი არ იყო. მაგრამ ამას ბავშვების ხელით ახერხებდა. უკვირდათ კიდეც ბავშვებს, რატომ ვიქცევით ასე ცუდად, ასე დაუდევრადო? არადა, იცოდნენ, რომ წესრიგი და სისუფთავე უნდა დაეცვათ. უწესრიგობისა და სიზარმაცის გამო საყვედურებსაც იღებდნენ, რაც სულაც არ მოსწონდათ.

როცა სახლში ბურდია და უკუღმართი ეცამრაზი ცხოვრობს, იქ არაფრის გაკეთება აღარაა ადვილი. არც დილით გაღვიძება, ადგომა, დაბანა, კბილების გახეხვა, დავარცხნა, საწოლის მილაგება, საღამურის გახდა, საგარეო ტანსაცმლის შერჩევა, ფეხსაცმელების აცა-ბაცა კი არა, სწორად ჩაცმა, თასმების შეკვრა, მერე სათამაშოების მილაგება, საუზმობა, ზურგჩანთების ჩალაგება და ამ ყველაფერის საკუთარი ხელით კეთება, მშობლების დაუხმარებლად.

ეცამრაზის ბრალი იყო, რომ ჩანთები თავდაყირა ეყარა ხან სად და ხან სად. ამიტომაც ფანქრები და ფლომასტერები, კნუტებივით, მაგიდის, სკამებისა და კარადების ქვეშ დაძვრებოდნენ. სახატავი ფურცლები კი, ჩიტებივით დაფრინავდნენ. სათამაშოები ნამდვილი ბაჭიებივით სკუპ-სკუპით ხან აქ ამოყოფდნენ თავს და ხან - იქ. კანფეტის ქაღალდები ხომ წრუწუნებივით ყველა კუთხე-კუნჭულში დაცუნცულებდნენ. ჩანთების შემხედვარე წინდებიც და სამოსიც, ქუდებიც და ხელთათმანებიც უჩინმაჩინივით სადღაც უჩინარდებოდნენ და არასდროს არ ჩერდებოდნენ თავიან კუთვნილ ადგილზე. ვერც ოთახის ჩუსტს მიაგნებდი, ვერც ფეხსაცმელს...

ოჰ, რა ბედნიერი იყო ამის შემხედვარე ეცამრაზი. ეს არეულობა ბავშვების სიზარმაცესა და უწესრიგობას ბრალდებოდა. ბავშვები ვერ ხვდებოდნენ, რა ეღონათ, როგორ გამკლავებოდნენ ამდენ საქმეს. როგორმე უნდა ეჯობნათ სიზარმაცისთვის. მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. სკოლაში და ბაღში მოწესრიგებული ჩანთებით უნდა ევლოთ ვაჩეს, სანდროს და ლიზის. სულაც არ მოსწონდათ ბუზღუნისა და საყვედურების მოსმენა.

კმაყოფილი ეცამრაზი კი, თავის გამოგონილ სიმღერებს მღეროდა და ტაშსაც თავადვე უკრავდა საკუთარ თავს:

„ ღონიერი ეცამრაზი,
ყველას ვჯობნი, ჩემი აზრით!
ჰერი-ჰერი-ჰეი!“
ვურევ ოთახს, უჯრებს, ჩანთებს,
ვერავინ ვერაფერს აგნებს,
ჰერი -ჰერი-ჰეი!“

ერთხელ, როცა ეცამრაზის არეულ-დარეულ ოთახებში ბავშვებმა საქმეებს თავი ვეღარ გაართვეს, და ძალიან დაღონდნენ, სახლის სხვენიდან დასახმარებლად ნაცარქექია ჩამოვიდა! ჯადოსნური სახლის სხვენში ხომ ყოველთვის ცხოვრობს ერთი უცნაური, ზღაპრული არსება მაინც?! ის პატარა, ბავშვი-ნაცარქექია იყო, თმაკულულა, გაჩხინკული, ცხვირზე ჭორფლით, ცელქი და ონავარი. და რადგან სხვენში ნაცარი არ იყო საქექი, დაუზარელი და ყოჩაღი მქექველი სხვენში ატანილ ძველ სათამაშოებს, საოჯახო ნივთებსა და წიგნებს ქექავდა, ათვალიერებდა და დალაგებაც მშვენივრად ეხერხებოდა.

ისეთი პატარა იყო, ვერც კი წარმოიდგენდით, რომ მისგან მოხერხებული და დევების დამმარცხებელი ნაცარქექია გაიზრდებოდა. თუმცა, ეცამრაზის დამმარაცხებელი ნამდვილად იყო! რადგან მხოლოდ მან იცოდა ეცამრაზის საიდუმლო. „იზარმაცე“ - აი, რა ერქვა სინამდვილეში ჩვენს ბურდია ეცამრაზს?!

როგორც კი ამ სახელს სწორად წარმოსთქვამდი, ეცამრაზი ძალას კარგავდა და სამაგიეროდ სახლის ყველა საგანი და ნივთი ნამდვილ სახეს იბრუნებდა, შესაფერის ადგილზე ჩნდებოდა და ბავშვებიც იოლად, თავისი ხელით, ალაგებდნენ საკუთარ უჯრას, ოთახს თუ სასკოლო ჩანთას. ყველაფერს დამოუკიდებლად და მშობლების დაუხმარებლად აგვარებდნენ. ვერავინ იტყოდა ამ ბავშვებზე, ზარმაცები არიანო!

ბავშვებსაც სიამოვნებდათ სიზარმაცის დამარცხება და დამოუკიდებლად იმის კეთება, რაშიც ხელს ეცამრაზი უშლიდათ. მშობლებიც აქებდნენ, რა კარგია ასეთი ყოჩაღები რომ ხართ და ყველაფერი მოწესრიგებული გაქვთო. მასწავლებლებიც კმაყოფილები იყვნენ: ვაჩემ და სანდრომ სკოლის ჩანთებისა და სასკოლო ნივთების სამაგალითო მოვლა იციანო. არც არაფერს კარგავენ, არც ხევენ, არაფერი ავიწყდებათ და შინ არ რჩებათო. აბა, რა?! მართლაც ასე იყო. ლიზის კი, ბაღის აღმზრდელი უქებდა საქციელს, ძალიან მოწესრიგებული გოგონაა, ჩანთასაც თავის ხელით ალაგებსო.

ცხვირსახოცი, წყლის ბოთლი, პატარა ფუმფულა სათამაშო-ბრელოკი, ბლოკნოტი, წიგნები, რვეულები, პენალი - ყველაფერი ჩანთაში იდო!

და რადგან სახლში იზარმაცე-ეცამრაზი აღარ ცხოვრობდა, ყველაფერი თავის ადგილზე ხვდებოდათ ბავშვებს. არც წაღმა-უკუღმა ეშლებოდათ, არც მარცხენა-მარჯვენა. არც ტანსაცმლის გადმობრუნება-დალაგება, თავის მოწესრიგება და საუზმე ეზარებოდათ. და ძილის წინ ჩალაგებულ ჩანთებსაც აღარავინ ურევდა.

თქვენ გგონიათ, დილაობით ნაცარქექია-ბიჭი ეძახდა სხვენიდან ბავშვებს: ეი, ლიზი, ვაჩე, სანდრო, ზურგჩანთებში ნაცარი, ყველი და სადგისი ჩადეთ, დევებთან საბრძოლველად მივდივართო?! სულაც არა! ნაცარქექია დილის საყოჩაღო სიმღერას შემოსძახებდა:

კიკიც აცილებდა ბავშვებს დილაობით. კიკი ძალიან ჭკვიანი პუდელი იყო, ბავშვების ნამდვილი მეგობარი. მართალია, ახალ წელს ბავშვებთან ერთად ბევრ „გრილიაჟს“ აკნატუნებდა, მაგრამ სხვა დღეებში უამრავ საქმეს აკეთებდა ისიც: სტადიონზე ბურთს ეთამაშებოდა და-ძმებს, ერთადაც სეირნობდნენ, ფილმებსაც უყურებდნენ... მაჭკატებსაც კი უცხობდა მათ, როცა დედიკოს და მამიკოს სამსახურიდან აგვიანდებოდათ. კარსაც დარაჯობდა, რომ ეცამრაზი აღარ შე

მოპარულიყო.

„ჰამ-ჰამ, ჩაალაგეთ ჩანთა?
ნახეთ, რამე ხომ არ დაგრჩათ?“

დღის ბოლოს კიკისაც სიმღერით უნდა შეეყეფა ბავშვებისთვის. თუმცა, ბავშვები შეხსენების გარეშეც აწესრიგებდნენ ჩანთებს

არცერთ ჩანთაში აღარ შეგხვდებოდათ ეცამრაზის ჩადებული დაკუჭული კანფეტისა და კევის ქაღალდები, დამტვრეული კალმების ფუტლიარები, მოკვნეტილი სახაზავები, მოკბეჩილი საშლელები და დაკუჭული ფურცლები. ლიზი კი, ბაღის ზურგჩანთას ალაგებდა: ერთი თოჯინა, ერთი პატარა სარკე, სავარცხელი და ცხვირსახოცი უნდა ჩაედო შიგ. კიდევ ერთი ზღაპრების წიგნი, რადგან ძმებივით მასაც უნდოდა, ზურგჩანთით წიგნი ეტარებინა.

რატომღაც აღარც წიგნები იშლებოდა ფურცელ-ფურცელ, აღარც ცალ-ცალი წინდა იკარგებოდა... რა ადვილი და სასიამოვნო ყოფილა საკუთარი ნივთების მოვლა?!

ჯადოსნური სახლი დილაობით ღიმილით მიაცილებდა პაარებს სკოლისა და ბაღისაკენ.

და რადგან ეცამრაზს შორს წასვლაც ეზარებოდა, იქვე ახლოს, სახლის წინ გაზონის ერთ ბუჩქში შემალული სახლს მისჩერებიდა, კარი ან ფანჯარა ხომ არ დარჩებოდა ღიად, რომ ისევ სახლში შემძვრალიყო და აბურდვა-დაბურდვა გაეგრძელებინა. დაბღვერილი უყურებდა, ათვალიერებდა და ბრაზდებოდა, რომ ერთი შესაძრომი ღრიჭოც არსად ჩანდა... სხვა სახლებსაც და სხვა ბავშვებსაც უთვალთვალებდა ჩუმად, თან ბურტყუნებდა, ამდენი ბავშვი დადის ქუჩაში, ნუთუ ერთ ზურგჩანთაში მაინც ვერ უნდა ჩავძვრეო?!

კიკი, ჩვეულებისამებრ, ჰყეფდა და ბავშვებს აფრთხილებდა:

-ჰამ, ჰამ, ბავშვებო, ახლოს არ გაიკაროთ ეცამრაზიო...

ნაცარქექია -ბიჭსაც სხვენიდან ფხიზლად ეჭირა თვალი იქაურობაზე.

გაზონთან ახლოს ერთი ნაგვის ურნა იდგა. ეცამრაზის ოინებისა მანაც კარგად იცოდა, რადგან ყოველდღიურად სწორედ ეს ურნა ივსებოდა ეცამრაზის გაფუჭებულ-აბურდულ-დაბურდული ნივთებითა და დაკუჭულ-დაჯღაბნილი ფურცლებით. ურნამ უყურა, უყურა ეცამრაზს და ერთხელაც უთხრა:

-ეცამრაზო, რატომ ხარ ასეთი ჯიუტი და ბუზღუნა? რა კარგი ბავშვების გვერდით ცხოვრობდი იმ ლამაზ სახლში. განა არ შეიძლებოდა, რომ ეგ უხასიათობა და უწესრიგობა დაგეძლია და ბედნიერად გეცხოვრა?

ეცამრაზმა უხმოდ უსმინა ურნას, მერე გაიბუსხა, გაიბერა და უცებ აზლუქუნდა.

გაუკვირდა ურნას, ასეთი რა ვაწყენინე, რომ ტირისო. ეცამრაზი დააფიქრა ურნის ნათქვამმა და ამოილუღლუღა: მართალი ხარ, ურნავ, ძალიან ცუდად ვიქცეოდი, ვერ ვხვდებოდი რატომ ვაწვალებდი ბავშვებს სიზარმაცითა და არეულობითო. რას ვერჩოდი მათ ჩანთებსო?! -და თან უკვირდა რა მოსდიოდა თვალებიდან. პირველად ტიროდა ეცამრაზი.

პირველად მიხვდა თავის შეცდომას და პირველად მოიოხა გული ტირილითაც.

ეცამრაზის სიტყვებს ნიავმაც მოჰკრა ყური, დაინახა მისი ცრემლიც, შეებრალა, სახლისკენ წავიდა და ერთი ფანჯარა ისე შეაღო არც კიკის გაუგია, არც ნაცარქექიას.

დიდხანს უყურა ეცამრაზმა შეღებულ ფანჯარას. ბუჩქიდან ფრთხილად გამოძვრა, ფანჯარასთან მივიდა, მაგრამ სახლიდან ისეთი წესრიგისა და სისუფთავის სხივი იფრქვეოდა, შესვლა ვერ გაბედა. აჯობებს ბავშვებს დაველოდო, დაველაპარაკო, მოვუბოდიში, იქნებ მაპატიონ და მეც გამომასწორონო?

სიზარმაცის დაძლევა სულაც არაა ძნელიო! - ელაპარაკებოდა თავის თავს და ქუჩას გაჰყურებდა სანდროს, ვაჩეს და ლიზის მოლოდინში...